# კლდე

დამოუკიდებელი ნაციონალური პოლიტიკის ორგანო.

ხუთშაბათი, თებერვლის 6. (იანვარის 24).

1919 წელი.

№ 25.

ფასი 50 კაპ.

ყოველ-დღიური ხალხ. გაზეთი კლდე

გამოდის გრიგოლ ვეშაპელის რედაქტორობით.

გაზეთის ფასი 1919 წლის დამლევამდე 100 მანეთი, ცალკე ნომერი 50 კ. განცხადებათა ფასი მორიგებით.

ხელის მოწერა და განცხადებანი მიიღება დილის 10 საათიდან 3 საათამდე.

კონტორა ქართულ ქარვასლაშია, სასახლის ქ. № 5

ტელეფონი № 18—31.


# ქართველ მებრძოლთ!

## ქართველთა ლეგიონი

იწვევს მოხალისეებს ახალციხეში მოღალატეების წინააღმდეგ საბრძოლველად!

მამულიშვილნო, ერთხელ კიდევ დაუმტკიცოთ მტრებს ქართველი ხალხის გმირობა!

მოიყარეთ თავი ლეგიონის დროშის ქვეშ!

მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა.

მეორე ვაჟთა გიმნაზიის შენობა.

ლეგიონის სარდალი ლადო ქირქსელიძე.

# საქართველოს ეროვნული პარტიის.

## საარჩევნო პლატფორმა.

მამულიშვილნო!

ეროვნული პარტიის ლოზუნგია ,,საქართველო ჯერ ქართველებისათვის''!

საქართველომ უნდა მოიპოვოს თავისი ისტორიული საზღვრები.

ეროვნული პარტია იცავს მტკიცედ კერძო საკუთრების ხელშეუხებლობას, როგორც ქალაქად, ისე სოფლად.

ეროვნული პარტია მოითხოვს, რომ მიწის საკითხი გადაწყდეს სახელმწიფო, და არა ყაჩაღური წესით.

ეროვნული პარტია მოითხოვს, რომ მამულის ჩამორთმევა მოხდეს მხოლოდ ისეთ შემთხვევაში, როცა ეს საჭიროა სახელმწიფო მოსაზრებით (ქართველ ცხოვრების დასახლებისათვის).

ეროვნული პარტია მოითხოვს, რომ ნორმა მიწის მფლობელობისა გადიდებულ იქმნას ყოველგან ადგილობრივი პირობების მიხედვით.

ეროვნული პარტია მოითხოვს, რომ ჩამორთმეულ მიწაში მამულის პატრონს მიეცეს მისი ფასი.

ეროვნული პარტია მოითხოვს, რომ ნაციონალური იქმნას მიწების კერძოდ ყიდვა-გაყიდვა (ქართველებისათვის).

ეროვნული პარტია მოითხოვს, რომ უცხოელებს (ოსებს სომხებს, რუსებს) აეკრძალოს მიწის შეძენა საქართველოში სანამ არ დაკმაყოფილდება ქართველი გლეხობის საჭიროება (თავდაპირველად მიწა უნდა მიეცეს ჯარში ნამსახური ქართველებს).

ეროვნული პარტია მოითხოვს, რომ მოსპობილ იქნას მონოპოლისტებისა და სპეკულიანტების პრივილეგიები და ქართველ ვაჭარ-მრეწველს საშუალება მიეცეს წესიერად აწარმოვოს თავისი საქმე.

ეროვნული პარტია მოითხოვს, რომ დაუყონებლივ მოხდეს სრული ნაციონალიზაცია ყველა დაწესებულებათა (თავდაპირველად ტფილისის ქალაქის თვითმართველობისა) და თანამდებობანი, რომელიც უცხოელებს აქვთ დაკავებული, გადაეცეს ქართველ მოხელეებს.

ეროვნული პარტია მოითხოვს, რომ საქართველოს დასაცავად მოეწყოს ერთი, მთლიანი სამხედრო ძალა—მუდმივი რეგულიარული ჯარი; ყოველივე სხვა გვარი პარტიული რაზმები და გვარდია უნდა გაუქმდეს.

ეროვნული პარტია მოითხოვს, რომ დაცული იქნას ეკლესიისა და სამღვდელოების ქონებრივი დოვლათი და მთავრობა მეტის პატივის ცემით მოეპყრა ქართველი ხალხის სარწმუნოებრივ მოთხოვნილებებს.

მამულიშვილნო! არ შეცდეთ! არ მისცეთ ხმა არც ერთ სოციალისტურ პარტიას: სოციალ-დემოკრატები (მენშევიკები), ფედერალისტები, რევოლიუციონერები ყველა ბოლშევიკური ჯურის ხალხია და სულ სხვისი საკუთრების წართმევაზე ფიქრობენ; ჯერ სოფლის მორჩებიან, მერმე ქალაქის მესაკუთრეს მისდგებიან!

მამულიშვილნო! არ შეცდეთ! არ მისცეთ ხმა არც № 2-ს ,,ეროვნულდემოკრატებს'' (გაზეთ ,,საქართველოს'') არც რადიკალ-დემოკრატებს და არც უპარტიო დამოუკიდებლებს ესენი ყველა მენშევიკების მანჩხალა პარტიებია, ნამდვილი ეროვნულ-დემოკრატიული პროგრამა მათ არა სწამთ და ამიტომაც ხელი მოაწერეს ნ. ხომერიკის მიწის კანონებს.

მამულიშვილნო. მხოლოდ ,,საქართველოს ეროვნული პარტია,, დაიცავს მტკიცედ, ისე როგორც ,,კლდე'' სახელმწიფოებრივ პროგრამას.

# სია № 8

„საქართველოს ეროვნულ პარტიის“ კანდიდატები დამფუძნებელ კრების არჩევნებისათვის.

1. ვეშაპელი (ვეშაპიძე) გრიგოლ გიორგის ძე; პარლამენტის წევრი, გაზეთ „კლდის“ რედაქტორი.
2. ქარუმიძე შალვა ალექსანდრეს ძე; პარლამენტის წევრი; განათლების კომის. წევრი.
3. ვაჩნაძე დავით ვლადიმერის ძე; პარლამენტის წევრი; სამხედრო კომისიის წევრი.
4. გაბაშვილი რევაზ (ლეონიდე) ალექსანდრეს ძე; პარლამენტის წევრი, გზათა კომისიის წევრი.
5. მაჩაბელი მიხეილ ვახტანგის ძე; პარლამენტის წევრი, აგრარულ კომისიის წევრი.
6. ჯავახიშვილი დიმიტრი ვასილის ძე; ექიმი, პარლამენტის ყოფ. წევრი.
7. ცაგარელი ალექსანდრე ანტონის ძე; პროფესორი.
8. სარაჯიშვილი ალექსანდრე თედორეს ძე; მრეწველი.
9. გაბაშვილი ნიკოლოზ სოლომონის ძე; ინჟინერი-ქიმიკოსი, კომერსანტი.
10. ორბელიანი გიორგი ილიას ძე; გენერალი.
11. ჯანდიერი ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე; ექიმი.
12. ელიაშვილი ივანე სპირიდონის ძე; ექიმი.
13. კაპანელი (პანტურაია) კონსტანტინე გრიგოლის ძე; ლიტერატორი.
14. ეკალაძე ია. (ცინცაძე) იაკობ თომას ძე; ლიტერატორი.
15. ლოლობერიძე დავით სიმონის ძე; ლიტერატორი.
16. კელენჯერიძე დავით ბესარიონის ძე;
17. ციციშვილი ივანე გიორგის ძე; მიწის მესაკუთრეთა „კავშირის“ წევრი.
18. იმხნელი მიხეილ ნიკოლოზის ძე; ექიმი.
19. ლუდუშაური ბართლომე; მღვდელი.
20. ივანიცკი ტარასი; დეკანოზი.
21. მამრაძე გიორგი გრიგოლის ძე; ლიტერატორი
22. ხიდამონ-ერისთავი ვალერიან; მხატვარი.
23. ნიჟარაძე რაფაელ; პედაგოგი.
24. კიკაბიძე ლადო სპირიდონის ძე; სტუდენტი.
25. ქასრაშვილი ქსენეფორე ნიკოლოზის ძე; მეურნე.

ტფილისი, თებერვლის 6

# სომხების ბოიკოტი.

ყველა ის ვერაგული გამოსვლა, რომელიც აწარმოვა ჩვენს წინააღმდეგ სომხეთმა, როგორც სახელმწიფომ და სომხებმა, როგორც საქართველოს მოსახლეობამ და სომხეთის აგენტებმა,—დაგვირგვინდა უკანასკნელად—პოლიტიკური ბოიკოტით. ომისა და რევოლიუციის განმავლობაში დაუსრულებელმა პროვოკაციამ, მზაკვრულმა აფეთქებამ ხიდებისა, აჯანყების მოწყობამ დუშეთსა და ბორჩალოში, ვერაგულმა თავდასხმამ და ომმა ვერ გააძლო სომხობა და ვერ გამოაფხიზლა საკმაოდ ქართველობა. დღევანდელი ბოიკოტიც კი ისე არ უგრძნია ქართველობას, როგორც ახალი მტრობის მაჩვენებელი, ახალი აქტი შეურიგებლობისა ჩვენს მიმართ. არა მარტო სოციალ-დემოკრატია, გაზ. „საქართველოს“ ქართველებიც ჰპოულობენ კიდევ სალაპარაკო ენის ამ მუხანათ ხალხთან და მომავლის პერსპექტივებს შლიან, როგორც სოლიდარობას ამ ,,ქრისტიან'' ერთან სამაჰმადიანოს წინააღმდეგ.

სოციალ-დემოკრატიამ უკვე მოუმკო საქართველოს ასეთი პოლიტიკის შედეგები და სომხოფილობა ძვირათ დაგვისვა ტერიტორიულად, ეკონომიურად, პოლიტიკურად და ზნეობრივადაც. ახლა ასეთს საცოდაობის პოლიტიკას, როგორც ეტყობა, ემხრობა გაზ. ,,საქართველოც'' და მისი პარტიაც, რომელიც თანდათან მიემსგავსება ყველა ფერით საკითხებში თვის მეტოქეს—სოციალ-დემოკრატიას (ომისა და ზავის შეფასება; მიწის კანონპროექტი; მიწის კანონის დამატება და სხ. და სხვ.).

უნდა ვიფიქროთ, რომ ახლო მომავალში სრული გაერთიანება მოხდება ამ ორ პარტიათა მიმდინარეობისა: სოციალდემოკრატია იწევს მარჯვნივ და ტიპიური მეშჩანურ—ბურჟუაზიული ხდება და ეროვნული დემოკრატია იწევს მარცხნივ, რომ იმავე ხაზზედ დადგეს. აღნიშნული ეტაპებიდან უკვე სჩანს, რომ წმინდა ეროვნული პოლიტიკა ამ ორი მიმდინარეობისა, როგორც მეშჩანობისა შემტანისა ყველა სფეროში—დაბალ დონეზედ იდგება: იმდენად, რამდენად ჯგუფი დააკმაყოფილებს მათ ჯგუფობრივ ინტერესებს და არა სახელმწიფოსას, როგორც უზენაესი იდეისა და ორგანიზმისას.

ეს ნათლად გამოსჭვივის უკანასკნელი ამბებიდანაც, თუ როგორ უპასუხებს ეს ორი პარტია სომხების პოლიტიკურ ბოიკოტს.

ჩვენ კი მოვითხოვთ, რომ ერთხელ და სამუდამოდ გადავაგდოთ ლოლიაობა სომხებისა და დღეს, როცა ეს უკანასკნელი იარაღიც მათ აღმართეს ჩვენს წინააღმდეგ—უპასუხოთ იმავე ბოიკოტით. მხოლოდ, ვინაიდან პოლიტიკურად ეს მოუხერხებელია, რაკი სომხის ტერიტორიაზედ არ არის ქართული მოსახლეობა, ჩვენ უპასუხოთ ეკონომიური ბოიკოტით. სომხისათვის უალრესი ღირსების დაცემა შეუძლებელია და ეს ყოვლად ლეგალური საშუალებაც არის, ხალხის სრულ ნებაყოფლობაზედ დაყრდნობილი. ერთ კრთა ქართველმა არავითარი ნივთი სომხისგან და

ართავერი მეჭურდის სომეხს. ესეთი ბრძოლა მით უფრო მისაღები იქნება, რომ იგი მიმართული იქნება არა სომხეთის დემოკრატიის მიმართ რასაც ასე უფრთხის ჩვენი მთავრობა, არამედ სომხის მყვლეფელ, ჩარჩულ ბურჟუაზიის წინააღმდეგ. და პოლიტიკური ბოიკოტისათვის საქართველოს დემოკრატიის წინააღმდეგ, რასაც აწარმოებს უმთავრესად სომხის დაშნაკცუტიუნი და ბურჟუაზია, დაისჯება სწორედ ეს ელემენტი და იქნება მაშინ კიდევაც გამოიქექოს ყური სომხის დემოკრატიამ, რომელიც ეხლა ბარბაროსულ იარაღად არის გადაქცეული ამ სისხლის პარტიათა ხელში.

# მთის ნიავს.

(გ. მეგრელიშვილის ხსოვნას)

ერთ იგულოვე რწმული შვილი,
მამულისათვის თავდადებული;
ვინც ანაცვალა სამშობლო მხარეს,
ნორჩი სიცოცხლე, სული და გული!

—

აღარ გვყავს იგი, ვინც გვიმღეროდა,
გრძნობით ალესავე საგალობელსა;
დაჭკნა ყვავილი ჯერ გაუშლელი—
ვეღარ ვიხილავთ ქვეყნის მკობელსა...

—

დაიმსხვრა ჩანგი ნაზი ხმიანი,
დადუმდა ენა... კვირინებს ზეცა;
დღეს მგოსნის კუბოს თვალცრემლიანი,
მწარეთ დასტირი და ველოთ მეცა...

აპოლონ ქუთათელი.

თფილისი, თებერვლის 4.

## ახალციხის ომი.

როდესაც საქართველოს დღევანდელ ჭეშმარიტად, გაჭირვებულ მდგომარეობაზე და ჩვენ მთავრობის საქციელზე დაიწყებს ადამიანი ფიქრს მაშინვე უნებურათ გაახსენდება ზარმაცი ადამიანი, რომელიც მხოლოთ თავის მართლებაზეა განარჯიშებული და როდესაც საქმეს წაახდენს, მაშინვე დობე-ყორეს მოედება და საქმის გაფუჭებას უექველად გარეშე, ხშირად განზრახ გამოგონილ, გამოძებნილ, პირობებს და გარემოებებს დააბრალებს.

შეუძლებელი და ყოვლად წარმოუდგენელია სხვა აზრი დაებადოს ჭეშმარიტ მამულიშვილს ქართველს, როდესაც ხედავს, რომ ჩვენ მესვეურთ კიდევ მოუვიდათ ერთი დიდი მარცხი, რომლის მთელი სიმძიმე—სიმწვავე და მწარე შედეგები უნდა ქართველმა ხალხმა და წამებულ საქართველოს გულმა იწვნიოს.

მთავრობა კი რა?

მმართველი პარტიის წარმომადგენელთა პირით იგი მტრების საქციელს მათი რეაქციონერობით და კონტრ-რევოლიუციონერობით ახსნის, ხოლო, თუ ვინმემ გაბედა და ჰკადრა მათ, რომ თუ ჩვენი მტრები რეაქციონერები არიან და მხოლოთ ამიტომ გვმტრობენ მით უმეტეს უნდა მიეღო წინასწარი ზომები ჩვენს სოციალისტურ მთავრობას, რომ ხიფათი არ დაგვტეხოდა თავს. უმალ ასეთ გაბედულსაც კონტრ-რევოლიუციონერად მონათლავენ და იტყვიან, ჭეშმარიტმა დემოკრატმა მხოლოთ უნდა მოიგერიოს მტერიო.

რევოლიუციის პირველ დღეებიდანვე აშკარა იყო, რომ საქართველოს მტრები ენერგიულ მოქმედებას შეუდგნენ ჩვენს საწინააღმდეგოდ აჭარა-ქობულეთსა და ჯავახეთ-მესხეთში.

ოსმალეთის შემოსევის დროს ამ მოქმედების შედეგი აშკარა გახდა. ყველა ამას რომ თავი გავანებოთ ამ ოლქებიდან ოსმალების წასვლისას, როდესაც დაიწყეს ამის ხელოვნურად დაგვიანება, როგორც ჯავახეთ-მესხეთის ქართველთათვის ისე კიდევ სხვებისთვის აშკარა გახდა, ჩვენ გაზეთში მაშინვე აღვნიშნეთ და უმისოთაც ცხადი იყო, რომ ოსმალონი იგვიანებდენ, არ მიდიოდნენ და ამ დროს თავის უნტერ-ოფიცრების საშუალებით ადგილობრივ თათრებთაგან ნამდვილ რეგულიარულ ნაწილებს ქმნიდნენ.

როგორც იყო დეკემბრის 5 ამ ოლქში ჩვენი ერთი მუჭა, სრულიად გამოუცდელი ჯარი შევიდა მხოლოთ სამთო ბატარეით და ძველი დახავსებული „ჩინოვნიკური“ ადმინისტრაცია ჩააყენეს იქ, რომელიც ადგილობრივ მცხოვრებლებს ნამდვილ მაჯლაჯუნათ დააწვა და არც მათ რგებდა რამეს და არც საქართველოს. ხოლო სოციალ-დემოკრატიის ჩინოვნიკი ლეგო რუხაძე მიტინგებს მართავდა, სადაც სომხურათ, თათრულად და ქართულად გაისმოდა „გაუმარჯოს საქართველოს“ ძახილი და ჩვენი ორგინალური სოციალისტური გენერალ გუბერნატორები ვერ ამჩნევდნენ, რომ ეს იყო მხოლოდ ასე ვსთქვათ „ზრდილობის“ მოთხოვნილება, რომ ახლათ მოსულთა გულის ყური მიეძინებიათ და ამავე დროს კი ადგილობრივი თათრები ისე, როგორც ეს ბორჩალოში სომხებმა ჩაიდინეს ეს, ფარულათ რაზმებს აძლიერებდნენ. „პრიომოჩნი“ კომისიების ჩასვლამ და აგრარულ „რეფორმის“ ცხოვრებაში [illegible] ადგილობრივ მცხოვრებთათვის ამ მათის სიტყვით, „ურჯულო [illegible]“ აუტანელ ბრივდარია მდგომარეობა, რის დანახვაც გლეხთა ყრილობაზე აყენებულ კორიანტელის გამო „უპოლნომოჩენმა“ რუხაძემ ვერ შესძლო და დეპეშათა საავენტოს ფურცლებს თავისებურ რელიაციებით ავსებდა ყოველ დღე.

ამნაირად მთავრობამ დაუშვა 3 დიდი შეცდომა, რომლის შედეგი გახდა ახალციხის ახალ ტრაღედია:

1) მან ვერ შეიგნო ახალციხე-ახალქალაქში ჩვენი ჯარის შესვლის დროს მყარებული ნამდვილი მდგომარეობა; 2) იქ გაგზავნა ძალიან მცირე გამოუცდელი ძალა, რამაც ვერ უზრუნველყო ჩვენი მდგომარეობა აღნიშნულ ადგილებში ყოველ შემთხვევისგან და მე 3) მდარე ღირსების ადმინისტრაციის ჩაყენებით და აგრარულ „რეფორმის“ უმალ დაწყებით მცხოვრებნი მტრულად განაწყო ჩვენდამი.

ეჭვი არ არის და, დღეს ხვალ ასეც მოხდება, სახელმწიფოს მესაჭენი იტყვიან, შეუძლებელი იყო სხვანაირათ მოქცევა, ჩვენ დემოკრატიულ რესპუბლიკაში ვცხოვრობთ და ერთა შორის სოლიდარობას უნდა ვემსახურებოდეთ ჩვენ ყოველ ჟამსაო.

კეთილი და პატიოსანი, მაგრამ რომ ეს ვერ აგვარებს საქმეს და ვერ ასწორებს შეცდომას?!

მაგრამ როგორ გამოსწორდება ეს შეცდომა, როდესაც ასეთი შეცდომა ათასი მოხდა და იმედია მომავალშიაც ბევრი მოხდება, რადგან ერთხელ კიდევ დამტკიცდა ახალციხის მაგალითით, რომ ჩვენი მთავრობა თავის პარტიულ პროგრამაზე და მეტი საარჩევნო ხმების მოკრებაზე უფრო მეტს ზრუნავს ვიდრე საქართველოზე, როგორც სახელმწიფოზე და არა სოციალისტურ მოძრაობის ციტადელზე.

## ფელეტონი.

### ეკლესიის ვითარება.

(ერთი წერილის გამო.)

რატომ ხდება ეს ასე? რაში უნდა ვეძიოთ ამისი მიზეზი? იქნება ეს შეუძლებელი რამეა? იქნება სვეტი ცხოვლის მოყვანა პირვანდელს მის ბრწყინვალე მდგომარეობაში აღემატება ქართველი ერის ქონებრივ შეძლებას?

თუ სვეტი ცხოველს დავასაკუთრებთ ჩვენი სამშობლოს მარტო ერთს რომელსამე კუთხეს, თუ მის აღდგენაზე ზრუნვას თავზე მოვახვევთ მხოლოდ რომელიმე წოდებას ან ერთი რომელიმე მიმართულებისა და სოფელ-მხედველობის მიმდევრებს, თუ სვეტი ცხოველის აღდგენის საქმის გარშემო რაიმე ალაგი დაეთმო პარტიობას, გათიშვას და დანაწილებას, ოლონდაც რომ იგი ხელმიუწდომელ და განუხორციელებელ ოცნებად მოგვეჩვენება ყველას.

სვეტი ცხოველი მთლიანი საქართველოს საერთო კუთვნილებაა, მისი დაცვა-აღდგენა სახელმწიფოებრივი მოვალეობაა ქართველი ერისა. თუ ასეთი თვალსაზრისით შეუდგებით საქმეს, მაშინ ყოველი სიძნელე და დაბრკოლება ჩამოგვეცლებოდა წინიდან. თუმცა დღეს საარაკო სიძვირე მძვინვარებს და არც ჩვენი ნორჩი რესპუბლიკის ფინანსიური მდგომარეობა არის სახარბიელო. დღეს მანეთი არაფერს წარმოადგენს, მაგრამ საკმარისი იქნება თითო მანეთი გამოვიღოთ ქალმა და კაცმა, რომ სრულებით განვაახლოთ ჩვენი მართლისობის გაძარცვული გვირგვინი.

წუხანდელ ნუ იკადრებს აქ იმ ფაქტის როლის მოტანას, რომელიც ამ ათიოდე წლის წინეთ ჩაიდინა ერთმა ულირსმა ქართველმა სვეტი ცხოვლის განახლებისთვის შეგროვილი ფულების გაფლანგვით. წარსულ დროში ჩადენილ დანაშაულზე ლაპარაკი საქმეს არ გაარიგებს. და ეს ზნეობრივი ჭუჭყი და ჩირქიც თან გაჰყვეს ავად სახსენებელ ძველ რეჟიმს და ახლა, როდესაც ჩვენს სამშობლოს აბრწყინვებს პოლიტიკური და ეკლესიური დამოუკიდებლობის გვირგვინი, თვით ხალხმა მოჰკიდოს ხელი თავისი უდიდესი სალოცავის აღდგენას, ხალხი ჩავებას ამ დიად საქმეში, მოქმედების ასპარეზზე გამოვიდნენ ქართველი დედები, ქართველი ახალგაზრდობა, ქართველი მეცნიერები, პოლიტიკური მოღვაწენი, ქართველი კაპიტალისტები, მხედრობა, პუბლიცისტები, მთელი ქართული დემოკრატია და გროშიც აღარ დაგვეკარგება, რადგანაც ქვეყნის თვალი ყველაფრის გამჭვრეტი და დამნახავია.

ახლა მაინც გვატკინოს გული ჩვენი სულიერი დედის სათაკილო სიშიშვლემ და აუტანელმა სიღატაკემ. ახლა მაინც წვეთ-წვეთ დავიხარჯოთ დიდი და პატარა სვეტი ცხოვლის გალავანში თითო აგურის, თითო მუჭა კირისა და ქვიშის მიტანას, რომ აღვადგინოთ და გავამშვენოთ ეს ჩვენი იერუსალიმი.

***

დაკვირვებულ მოგვითხრობს არც მცხეთის სამთავროს დედათა მონასტრის ქალების სასწავლებლის დაკეტვა და იმავე მონასტრის მოლოზნების უკიდურეს გაჭირვებაში ჩავარდნის გამო აქეთ-იქით დაქსაქსვა გამორჩომია შეუნიშნავად. იგი ნაღვლიანად კითხულობს: „ნუ თუ მცხეთაში ასე უნდა მოიშალოს ქრისტიანობა? რას აკეთებს ჩვენი სასულიერო მთავრობა?“

მოყვანილი სტრიქონების წამკითხველს ეგონება ჩვენს სასულიერო მთავრობას შეეძლება ჰქონდა მიშველებოდა სამთავროს დედათა მონასტერში არსებულ ქალების სასწავლებელს და მოლოზნებიც გამოეკვებნა, მაგრამ გულცივობისა და უმოქმედობის გამო მას არა გაურიგებიაო.

ღმერთმა სამთავროს დედათა მონასტრის შკოლის ყოფილმა მასწავლებლებმა და მოლოზნებმაც უწყიან, რომ ამ საქმეში სასულიერო მთავრობას არავითარი საყვედური არ დაუმსახურია.

ვინ არ იცის ჩვენი სასულიერო მთავრობის ფინანსიური უმწეობა და სიღატაკე? რა დაუტოვა ძველმა და რა მისცა ახალმა დრომ საქართველოს ეკლესიას, რომ მას ჰქონდეს სახსარი თავისი უწყების დაწესებულებების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისა და საჭირო ხარჯების დაფარვისა? ჯერ იყო და რუსის მართებლობამ გაფცქვნა, ხელიდან გამოჰგლიჯა ჩვენს ეკლესიებს ერთად ერთი წყარო არსებობისა, მორწმუნე ქართველებისაგან შეწირული მამულები, და ახლა წარსული წლის 7 მარტის დეკრეტით ის საცოდავი ნაჭრებიც ჩამოერთვათ რომლების შემოსავლითაც ვაი უბედურობით კიდევ სულს იბრუნებდნენ ნახევრად დანგრეული ჩვენი მონასტრები და ეკლესიები. მაშ, რომელი საშუალებით და შეეძლო ჩვენს სასულიერო მთავრობას გაემღოლოდა სამთავროს მონასტრის ქალების სასწავლებელს და მოლოზნებს?

— მორწმუნეთა შეწირულებანი და წმინდა სანთლის ოპერაციაო? იკითხავენ ზოგიერთნი.

დღეს, ბატონებო, ჩვენს ეკლესიაში ხალხის დაუკითხავათ და გაუგებრათ არა სწორობენ რა, ყოველი ეკლესიის შესავალს და გასავალს თვალყურს ადევნებს და მბატრონობს მრევლისაგან ნდობით შემოსილი საბჭოები, და ამ საბჭოებმა გამოაქვეყნონ, რამდენად უმნიშვნელოა მომეტებული ეკლესიების წლიური შემოსავალი, დაე ამ საბჭოების ანგარიშებიდან დარწმუნდეს საზოგადოება, რომ ისეც ღარიბათ გასაოცარია, რაზეც ასეთ მძიმე პირობებში მყოფი ჩვენი საეკლესიო მთავრობა ახერხებს დღეს. სრულებით გაუცნობელი უნდა იყოს კაცი ქართული ეკლესიის მთავრობის ხელმოკლეობასთან, რომ უკიჟინოს მას, რატომ ფართო მაშტაბით არ მოქმედობ, ე. ი. რატომ შენი ხარჯით არ ინახავ სასწავლებლებს, არ აშენებ არქეოლოგიურ ნაშთებს, არ იარსებს ჟურნალ-გაზეთებს, არ მისდევ წიგნების გამოცემას, არ აფართოებ საეკლესიო გალობის საქმეს, არ ქველმოქმედობ უხვადო და სხ.

დღეს ჩვენ წინ თავხანტვრევ მორიგ საკითხად დგება, რა საშუალებით გადავარჩინოთ დანგრევას და განადგურებას ჩვენი ძვირფასი კულტურული ნაშთები და საუცხოვო ისტორიული ძეგლები. აქამდისინ ამ ძეგლებს ჰსდარაჯობდნენ და თავს ევლებოდნენ ბერები და მოლოზნები და სწორედ მათი მეოხებაა, რომ დიდი ნაწილი ნაშთებისა დღევანდლამდე საუცხოვოდ დაცულ-შენახულია. ამას იქით მონასტრებში ვეღარ იარსებებენ ბერები და მოლოზნები, რადგანაც, როგორც ზოგიერთი მყოფთ, მათაც ესაჭიროებათ საზრდოობა და რითაი ისაზრდოებენ, როდესაც მონასტრებს ჩამოერთვათ მათი სასაზრდოო მამულები. მაშ დღეიდან ვის გაბარებთ ალავერდს, ბოდბეს, სამთავროს, დავით გარეჯას, იოანე ნათლისმცემელს, შიომღვიმელს, ვარძია, გელათ, მარტყოფ, შემოქმედს, ჯუმათს, ქვათახევს და სხვებს?

მართალს ბრძანებს მოგვითხრობი: „წარსული არ უნდა დავივიწყოთ, მისი მოგონება უნდა, შევაფასოთ და შევიკრიბოთო“.

მე ვფიქრობ, მოყვანილი სიტყვებით გამოთქმულია ქართველი ერის უდიდესი ნაწილის უგულითადესი რწმენა და მედგრობა, რომ ამ რწმენის ხმა მაღლა და შეუფერით გაგვაგონებს ის თავის მომავალ დამფუძნებელ კრებაზე.

(დასასრული.)

მიტროფანე დჟონელი.

მაშინ, როდესაც მოხალისეებულ ფანატიკოს თათართა ტალღა ახალციხეში ჩვენს ერთ მუჭა მამაც მხედრობის მუსრს ავლებდა და აზასთუმანს მოადგა, ჩვენი მინისტრები.—ხომერიკი—ხონში, რამიშვილი-გორში და ჟორდანია—გურიაში საარჩევნო პროპაგანდისთვის მიდიოდნენ და თბილისიდან ერთი გვარდიელიც არ გაიყვანეს საბრძოლველად, რომ ხმები არ დაეკარგოდათ სოც.-დემოკრატებს.

თათრების შემოსევა ახალციხე—აბასთუმანში უფრო მწყობრი, ორგანიზაციული და ძლიერია ვიდრე სომხების შემოსევა ბორჩალოში და რით აიხსნება ასეთი გულგრილობა ჩვენი მთავრობისა, თუ არ იმით, რომ მთელი მისი ყურადღება იქითკენ იყო მიმართული, რომ როგორმე მეტი ხმოსანი გაეყვანა თბილისის ქალაქის საბჭოში.

ბატონებო, თუ სახალხო გვარდია მხოლოთ დემონსტრაციებისთვის და არჩევნებისთვის გყავთ და ეს განზრახული გქონდათ, რეგულიარულ ჯარს მაინც შექმნიდით, რომ არჩევნების დროსაც ყოლოდა საქართველოს დამცველი ძალა, და ისეც სუსტს რეგულიარულ ჯარს ისეთ გამოუსადეგარ გენერლებს მაინც ნუ ჩაუგდებდით ხელში საქართველოს და ქართველ მხედარის შესარცხვენათ, რომლებმაც თავისი მოუხერხებლობისა და უცოდინარობის გამო არეულობა შეიტანეს ჩვენს ჯარში; ჩვენმა სარდლობამ ახალციხეში სრული გამოუსადეგრობა გამოიჩინა მოწინავე ხაზზე განმარტებით გმირულად მებრძოლს ქართულ ლეგიონს დამხმარე ძალები ვერ მიაშველეს და როდესაც ლეგიონი სისხლისაგან დაიცალა და სულ მცირეოდენი მისი ნაწილი ბრძოლით წამოვიდა უკან, ჩვენი ჯარის სხვა ნაწილები პანიკამ მოიცვა, მიატოვა ბრძოლის ველი და სოფლების ცარცვას მიყო ხელი.

ასეთია ნაყოფი ჩვენი მთავრობის მოქმედებისა სამხედრო სფეროში.

**ზედაძელი.**

# გაზეთების მიმოხილვა.

**არჩევნები და ,,სახალხო საქმე“.**

ქალაქის არჩევნები დასრულდა. პრესა არჩევნების შედეგების დაფასებას შეუდგა. თავისებურ შეხედულებებს ამ საგნის შესახებ ,,სახალხო საქმეც“ გამოსთქვამს. ხოლო ეტყობა შვიდი ხმოსნის საბჭოში გაყვანამ დამოკიდებული ფედერალისტები ძალზე გაახარა. გუშინდელ მეთაურის სტრიქონებში ზედვე გამოსჭვივის აღტაცებული ფედერალისტის ზეიმი. იგი სწერს:

,,დინჯი, წყნარი, სიფაქიზით გამოვიდა არჩევნებში სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია, მიუხედავათ იმისა, რომ პარტიის ინტრიგანებმა მოინდომეს პარტიისტვის ზურგში მახვილი ჩაეცათ და პარტიულ ცხოვრების აწეწ-დაწეწით ხელი შეეშალათ შემოქმედებითი მუშაობისათვის—სოციალისტ-ფედერალისტებმა მივიღეთ 2923 ხმა, გავიყვანეთ 7 დეპუტატი და ამ რიგათ ჩვენი პარტია იმდენი ძალით წარსდგება ქალაქის საბჭოში, რომელიც არ ჰყოლია დღემდეთ“.

ჩვენა გვგონია დამოკიდებულ ,,სახალხო საქმეს“ ცოტა-და დააკლდა იქამდი, რომ ეთქვა:

,,ჩვენი პარტია ქალაქის არჩევნების შემდეგ მიუწვდომელ შუქურვარსკვლავივით ბრწყინავს“.

# საქართველოს ამბები.

**ბრძოლა სახადთან.**

ქალაქის გამგეობის მედიკო-სანიტარულმა განყოფილებამ დაადგინა ბაქოში დაუყოვნებლივ გაეგზავნოს კაცი მკურნალობის საწინააღმდეგო საშუალების შესაძენათ; ხოლო ეთხოვოს საგანგებო რწმუნებულს ქერმ კობაძეს განკარგულება მოახდინოს, რომ თბილისის ყველა აფთიაქში მოზავეთა ტანისამოს დეზინფექცია უყონ, ვიდრე ისინი ბანაობას გაათავებენ და ამ მიზნით აბანოების პატრონებმა კბენარების საწინააღმდეგო წამალი იქონიონ აბანოში.

**სამეურნეო იარაღი საქართველოსთვის.**

კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების თავმჯდომარე მ. სუმბათაშვილი რომელიც ამ ჟამათ ბერლინში იმყოფება, იუწყება, რომ მან გერმანიაში ტრაქტორები და სხვა სამეურნეო იარაღი დაიყვანა საქართველოსთვის. ეს იარაღი საქართველოში ამ გაზაფხულზე ჩამოვა.

**დახმარება დახოცილ გვარდიელთა ოჯახებს**

ქალაქის გამგეობამ დაადგინა ბრძოლის ველზე მოკლულ 9 გვარდიელის ოჯახებს დაეხმაროს თითოს 100 თუმნით. ასეთივე დახმარება მიეცემა ერთ დასახიჩრებულ გვარდიელსაც. დახმარებას გვარდიის მთავარი შტაბი დაარიგებს.

**სახადის გამო სწავლის შეწყვეტა.**

ქალაქის გამგეობის დადგენილებისამებრ 3 კვირით სწავლა შესწყდა ქალაქის სახელოსნო სასწავლებელში, სადაც მოწაფეთა, მასწავლებელთა და მოსამსახურეთა შორის სახადი ძალიან გავრცელდა.

**სახადიანთათვის მე-3 საავადმყოფოს მოწყობა**

ქალაქის გამგეობამ დაადგინა დიდი მთავრის ქუჩაზე მყოფი ალექსანდრეს სახელობის საავადმყოფო ვენერიულ ავადმყოფთაგან გაანთავისუფლეს სახადიანთათვის, რადგანაც უკანასკნელთა რიცხვი ერთობ გაიზარდა: გარდა ქალაქის სახადიანთა საავადმყოფოსი, სადაც ამჟამად 1012 სახადიანი წევს, ქალაქთა კავშირის ქსენონშიაც (ნათლუღშია) 100-ზე მეტი სახადიანი და მოკლე ხანში მოსალოდნელია, რომ ისიც გაივსება, რადგან 300-ზე მეტს სახადიანს იგი ვერ დაიტევს.

**ახალი ქალაქის საბჭოს პირველი სხდომა.**

ორშაბათს, თებერვლის 10 შესდგება ახლად არჩეულ ქალაქის საბჭოს პირველი სხდომა, რომელზედაც უნდა აირჩიონ საბჭოს ახალი თავმჯდომარე, ქალაქის მოურავი, გამგეობის წევრნი და მდივანი და აგრეთვე გაირჩეს რამდენიმე საჩქარო საქმე.

**მედიკო სანიტარულ განყოფილების ახალი ინსპექტორი.**

ქალაქის გამგეობის მედიკო-სანიტარულ განყოფილების ინსპექტორად ექიმი შალვა მიქელაძე დაინიშნა.

# ინგლისის მისია საქართველოსა და მოხალისეთა არმიის შესახებ.

გარეშე საქმეთა მინისტრმა მიიღო ინგლისის მისიის უფროს გენერალ ფორესტიესაგან შემდეგი შინაარსის წერილი:

,,ბრიტანიის ჯარების მთავარსარდალმა დამავალა მე გადმოგცეთ თქვენო აღმატებულებავ, რომ ბრიტანეთის მთავრობამ შეატყობინა გენერალ დენიკინს, რომ იგი ვალდებულია დაიცვას საქართველოს მთავრობის ხელშეუხლებლობა და თავი შეიკავოს მის შინაგან საქმეებში ჩარევისაგან.

გენერალ ფორესტიე-უოლკერ.

# არჩევნების გარშემო

**ეროვნულ პარტიის ცენტრალური საარჩევნო კომიტეტი.**

საქართველოს ეროვნულ პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული დამფუძნებელი კრების ცენტრალური საარჩევნო კომიტეტი მოთავსებულია გაზ. ,,სალი კლდის“ რედაქციის ბინაზე სასახლის ქუჩა № 5. ყველა პარტიულ ორგანიზაციებს საჭირო ცნობების და საარჩევნო ლიტერატურის მიღება შეუძლიათ ხსენებულ საარჩევნო კომისიისაგან.

იქვე შეუძლიათ მიიღონ საჭირო ცნობები, განმარტებები და ლიტერატურა პარტიის ყველა წევრთა და თანამგრძნობთ. კომისიის წევრთა მორიგეობა ყოველ დღე დილის 10—2 საათ. და საღამოს 5—7 ს.

**პარტიულ ორგანიზაციებს.**

არჩევნები კარს მოგვადგა თითო წუთი ძვირფასია არ დაჰკარგოთ დრო იმუშავეთ განუწყვეტლივ შეჰქმენით პლაკატები: ფურცლები, მოწოდებანი აფიშები, ნუ შეაკრთობთ მომუშავეთა სიცოტავე. შემოიკრიბეთ გარს ყველა ამხანაგი ქალი კაცი, ახალგაზრდა, მასწავლებელი და მოსწავლე. ვინც პირადი საქმის გამო დააკლდება პარტიულ მუშაობას, მას არ ჰყვარებია საქართველო. მხნეობა და მოქმედება. ბრძოლა და გამარჯვება. ცენტრალური საარჩევნო კომიტეტი ავალებს ყველა პარტიულ ორგანიზაციებს და იმ პირთ, რომელთა კომიტეტისაგან მიღებული აქვს რაიმე დავალება, სწრაფად აცნობონ ცენტრალურ კომიტეტს საქმის ვითარება, და ყოველი საყურადღებო ცნობა, რომ საარჩევნო კომპანიაში შესაძლებელი იქნეს ყველა პარტიულ დაწესებულებათა მტკიცე ორგანიზაციაში შეკვრა.

1) პროპაგანდისტები ქუთაისის გუბერნიაში მიითხოვეთ ქუთაისის საგუბერნიო საარჩევნო კომისიას, თფილისის გუბერნიაში ცენტრალურ საარჩევნო კომისიას.

2) უნდა მოაწყოთ დაუყოვნებლივ საარჩევნო კომისიები ყველა იმ პუნქტში, სადაც ყუთები იდგმება.

3) ყველა საარჩევნო კომისიაში უნდა გაგზავნოთ ჩვენი წარმომადგენელი.

4) ხარჯებს უნდა გაუძლეთ როგორმე ადგილობრივ, ცენტრიდანაც დაგეხმარებით.

5) ყოველი ცნობები მიაწოდეთ საგუბერნიო და ცენტრალურ საარჩევნო კომისიებს.

6) აწარმოეთ დაწვრილებითი ანგარიშები, რომელსაც წარმოუდგენთ ცენტრალურს კომისიას მუშაობის დასრულების შემდეგ.

**ცენტრალური საარჩევნო კომისია.**

—

**პარტიულ ახალგაზრდობას.**

საარჩევნო კომპანია დაიწყო.

არჩევნების შედეგი ჩვენს მუშაობაზედ არის დამყარებული.

ეროვნულ პარტიის ახალგაზრდობა უნდა ამოქმედდეს მთელი თავისი ენერგიით.

ყოველი პარტიის წევრი და თანამოაზრე უნდა გამოცხადდეს პარტიულ კომიტეტებში და მიიღოს სათანადო დავალება.

თფილისში მყოფნი უნდა გამოცხადდნენ მთავარი კომიტეტის ბინაზე, სადაც იმყოფება ცენტრალური საარჩევნო კომიტეტები და ჩაებან საარჩევნო მუშაობაში.

ყოველი კაცის გარჯა დიდ ნაყოფს გამოიღებს!

ახლა გულგრილობა ღალატია პარტიისა და სამშობლოსი, ყველა ფეხზე დავდგეთ და არც ერთი ხმა არ დაუკარგოთ პარტიას. ჩვენ გვაკლია მომუშავე ძალები, თქვენ ქალებო, სტუდენტებო, მოწაფეებო, ახალგაზრდებო ყველა, ვისაც სურს, რომ დამფუძნებელ კრებაზე გაისმოდეს ეროვნული პოლიტიკის ძლიერი ხმა, მოდით მუშაობის გასანაწილებლად.

—

**პარტიის წევრთა და თანამგრძნობთ.**

ეროვნულ პარტიის ცენტრალური საარჩევნო კომიტეტი სთხოვს ყოველ პარტიის წევრს და თანამგრძნობს, რომელნიც მიემგზავრებიან პროვინციაში, წასვლის წინ შემოიარონ ცენტრალურ კომიტეტის ბინაზედ, სასახლის ქუჩა 5. და იკისრონ სხვადასხვა საჭირო და საჩქარო დავალება საარჩევნო კომიტეტისაგან.

კომიტეტი ესეთივე თხოვნით მიმართავს იმ პირთაც, რომელნიც პროვინციიდან ბრუნდებიან აცნობონ კომიტეტში, ან რომელიმე კომიტეტის წევრს მდგომარეობა იმ მხარისა, საიდანაც ბრუნდებიან ... პირი მოხერხებია.

—

**დამფუძნებელი კრების არჩევნები**

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ დაადგინა მიანიჭოს პარტიებს მათი ბიულეტენების მიღებისა და დარიგების ... ნაწილი ბიულეტენებისა, კანონის ძალით, ყველა ყუთებთან უნდა დარჩეს დანარჩენი ბიულეტენები უნდა თვით დაარიგონ პარტიებმა, ანუ თუ მათ ამაზე უარი განაცხადეს და ბიულეტენების მიღების შემდეგ ერთი დღის განმავლობაში არ წაიღეს სამაზრო, ანუ საქალაქო კომისიიდან, სამაზრო კომისია თვითონვე უგზავნის ბიულეტენებს სასოფლო კომისიებს. უკანასკნელნი კი დაუყოვნებლივ ურიგებენ ამომრჩეველთ იმ პარტიების ბიულეტენებს, რომელთაც თვითონ არ უკისრიათ დარიგება.

პარტიებს უფლება აქვთ სამაზრო კომისიიდან ბიულეტენების ერთი ნაწილი გაიტანონ მაზრის ამა თუ იმ რაიონისთვის. ამ რაიონში უკვე კომისიები პარტიის ბიულეტენებს აღარ დაარიგებენ.

საქართველველოს ეროვნული პარტიის სამაზრო ორგანიზაციებს ევალებათ სამაზრო კომისიიდან ბიულეტენის გატანა, იმ რაიონებისთვის, სადაც სამაზრო კომისიას საიმედო პირები ყავს აჩენილი, ბიულეტენების დასარიგებლად. სადაც პარტიას ასეთი პირები არ ყავს, იქ თვით სასოფლო საარჩევნო კომისიებმა უნდა დაურიგოს ყველა ამომრჩეველს ჩვენი პარტიის ბიულეტენები.

—

**საარჩევნო ბიულეტენების გავრცელება.**

დამფუძნებელ კრების ცენტრალმა კომისიამ დაადგინა საარჩევნო ბიულეტენები პარტიებმა თვითონ გაავრცელონ პროვინციაში, ხოლო იქ სადაც ეს შეუძლებელი იქნება, კომისია თვითონ დაგზავნის ყველა პარტიების ბიულეტენებს.

**საარჩევნო ფულის და მასალების დაგზავნა.**

გუშინ პროვინციიდან ჩამოვიდნენ სხვა და სხვა ქალაქების და მაზრების საარჩევნო კომისიების წარმომადგენლნი, რომელთაც წასაღებათ ჩაიბარეს ფული საარჩევნო ხარჯებისთვის, საკანდიდატო სიები, პირადობის ბარათები და სხვა მასალა არჩევნებისთვის.

**სიების დაწიგნვის უარყოფა.**

ცენტრალ საარჩევნო კომისიამ არ შეიწყნარა წინადადება, რომ საკანდიდატო სიები ცალკე წიგნაკათ დაბეჭდილიყო.

**მოძრავი ყუთები პროვინციაში.**

ცენტრალ კომისიამ დაადგინა, რომ შესაძლებელია სამაზრო და სარაიონო საარჩევნო კომისიების ნებართვით პროვინციის ზოგიერთ კუთხეში, სადაც ამას ადგილობრივი პირობები მოითხოვს, განსაკუთრებით მთებში და სადაც სოფლები დაშორებულია ერთიერთმანეთზე მოძრავი ყუთები იქნეს ხმის მისაცემათ.

# უცხოეთის ამბები

# ტელეგრამები.

საქართველოს სააგენტოსი.

**რუს ბოლშევიკთა ცნობა.**

მოსკოვი, თებერვლის 4. ც. ა. კ. მეჰქლითი ბიუროს ბიულეტენი. სამხედრო ცნობა. ჩრდილოეთის ფრონტი. ვილნის რაიონში ლატიშთა წითელმა არმიამ ლეპენგოფ-გამდეკ-საულეკისაკენ დაიხია. ვინდავის მიმართულებით ლატიშთა წითელმა არმიამ ბრძოლით დაიჭირა ვინდავა. ვინდავის დაჭერის დროს ხელთ იგდეს მოწინაალმდეგეს შტაბი სურსათით დატვირთული გემი, ტყვიის-მფრქვეველები, ყუმბარების საწყობები, ვინტოვკები და ტყვები. სამხრეთის ფრონტი. ბოგუჩარის მიმართულებით ჩვენ ქურავკა დავიჭირეთ. ცარიცინის მიმართულებით მოწინააღმდეგე ცარიცინის სამხრეთ დასავლეთით შეტევას ცდილობს. მაგრამ უკუ ვაგდეთ.

ამასთანავე ხელთ ვიგდეთ 10 ტყვიის მფრქვეველი, 500 თოფი და 230 კაცი ტყვეთ წამოვიყვანეთ. პოვორინო-ალექსიკოვოსებრია კოვოს რკინის გზის ხაზები დავიჭირეთ და გავამაგრეთ. მდ. მედვედიცაზე ყაზახებმა რკინის გზის ხიდი ააფეთქეს. პეტლიურას ატამანმა, გრიგორიევმა, რომელიც თავრიდის ჯარს სარდლობდა, თავისი თავი საბჭოთა მთავრობის მომხრეთ გამოაცხადა. გრიგორიევმა გამოუშვა მანიფესტი, რომლებით დაიცვან უკრაინის საბჭოთა მთავრობა. ლიბავიდან იუწყებიან, რომ ინგლისის გემებმა დასტოვეს ლიბავის ნავთსადგური. გამოცხადდა ლიბავაში მცხოვრებ რუსეთის არმიის ყოფილ აფიცერთა და უნტერ-აფიცერთა მობილიზაცია. მიმღებ კომისიაში გამოცხადდა 73 აფიცერი და 72 უნტერ ოფიცერი. ხუთი თვის შემდეგ გუშინ შესდგა კომუნისტების მრავალ რიცხოვანი კრება. აირჩიეს რუსეთის კომუნ. პარტიის კომიტეტი. მინსკი, თებერვლის 3. სრულიად ბელორუსების საბჭოთა ყრილობამ ც. ა. კომიტეტი აირჩია: 45 კომუნისტი, 2 ბუნდის პარტიის და 1 მენშევიკი. პარიზი, თებერვლის 3. ჩაიკოვსკი, ჩრდილოეთ—რუსეთის „მთავრობის“ თავმჯდომარე, ჩავიდა ბერგენში, შემდეგ გაემგზავრა პარიზში საზავო კონფერენციაზე. ჩაიკოვსკის სურს გამართოს მოლაპარაკება ვილსონთან იმ ზომების შესახებ, რომელიც უნდა მიიღონ მოკავშირეებმა ბოლშევიკების წინაამდეგ. კარნაფონი, თებერვლის 4. მოკავშირეთა შორის მიაღწიეს წინასწარ შეთანხმებას ხალხთა ლიგის შესახებ. ლიგის შექმნას საფუძვლათ დაედო ამერიკის შეხედულებამი. პრეზიდენტი ვილსონი იმუშავებს გეგმას მუდმივი ტრიბუნალის შესაქმნელათ, რომელსაც არბიტრაჟის ხასიათი ექნება საჭირო აპარატით. რათა შეძლება ჰქონდეს ეკონომიურ ბოიკოტით დასაჯოს ურჩი. ნაუენი, თებ. 3. შეთანხმება მოხდა ერთის მხრით გერმანიის ჯარისკაცთა საბჭოსა და ბრემენის სახალხო რწმუნებულის, ხოლო მეორეს მხრით სოც.-დემ.: უმრავლესობის პარტიის შორის. რწმუნებულებმა თანხმობა განაცხადეს ცენტრალურ მთავრობის მოთხოვნილების თანახმათ თანამდებობიდან გადადგენ. ბრემენის მუშები მზათ არიან მე-9 კორპუსის საბჭოს ჩააბარონ იარაღი და ყუმბარები.

### მდგომარეობა გერმანიაში

გერმანიის შეუმრავლესე სოციალისტები შუამავლები, რომლებიც მოლაპარაკებაში მონაწილეობდენ, სთხოვენ ცენტრალურ მთავრობას დაუყონებლივ დააბრუნონ მთავრობის მიერ გამოგზავნილი გერმოტენბერგის დივიზია. გერმოტენბერგმა განაცხადა, რომ დივიზია არ შევა ბრემენში იმ შემთხვევაში, თუ ბრემენის დასახმარებლათ არ მოდის სხვა რაზმები.

დამფუძნებელ კრების გახსნის დღეს ვეიმარში მოელიან სპარტაკელთა გამოსვლას. მთავრობას გადაწყვეტილი აქვს ვეიმარში დიდ-ძალი ჯარი დააყენოს. 2 თებერვალს ბერლინში გავრცელდა ხმა, რომ სპარტაკელნი ახალ აჯანყებას ამზადებენ. ამის გამო ყველა დაწესებულებაში და რედაქციებში მთავრობის ჯარი სდგას.

გერმანიის ცენტრალურ მთავრობა მრავალი დეპუტატი და პრესის წარმომადგენელნი იამბობს; 3 თებერვალს, ვეიმარში ჩავიდენ. საგარეო საქმეთა სტატს-სეკრეტარი გრაფი ბროკდორფ-რანტცაუ ვეიმარში გაემგზავრა 4 თებერვალს.

ვეიმარის მცხოვრებე ჯარმა განაცხადა, რომ ის ერთგულია მთავრობის და დაიცავს ეროვნულ ყრილობას.

დამოუკიდებელ სოც.-დემ. გამოსვლების გამო ერფურტში, გოტაში და აიზენახში, ვეიმერსა და ამ ადგილებს შორის 3 თებერვალს რამოდენიმე საათით შესწყდა პირდაპირი მავთულით დამოკიდებულება.

უკანასკნელ ოფიციალურ ცნობებით გერმანიის დამფუძნებელი კრების 421 დეპუტატი (ელზას-ლოტრენის გამოკლებით, სადაც არჩევნები არ მომხდარა) შემდეგ პარტიებათ დაიყო: შეუმრავლესე სოც.-დემ. 163, დამოუკიდებელნი—(აქ შედის გერმანიის სახალხო პარტია ბავარიაში) 75, გერმანიის სახალხო პარტია. ქრისტიანთა სახალხო პარტია 88, გერმანიის ეროვნული პარტია—42, ბავარიის გლეხთა კავშირი—4, განოვერის პარტია—4, ბრაუნშვეიგის ერობის კავშირი—1, და შლეზვიგ-ჰოლშტეინის გლეხების და მიწის მუშა დემოკრატების—1.

## ჯარის-კაცთა განათლებისათვის

ჩვენი ერი ალსდგა, სამშობლო განთავისუფლდა მონობისაგან.—მისი სუვერენული უფლებები ფოლადის ჯუროთი ეჭედება. სისხლის ასოებით იწერება. ეს ჯურო ქართველ მხედარს უჭირავს ხელში, კალმის წვერს თავის სისხლში აწობს ჩვენი ჯარისკაცი. ის იცავს კერძო საკუთრებას, სამართალს, წესრიგს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკისას შინაურ და გარეშე მტრებისაგან.

აი ამ ჯარისკაცთა განსანათლებლად გასავითარებლად, როგორც გონებრივად, ისე ზნეობრივად და ფიზიკურად დაარსდა სამხედრო სამინისტროსთან კულტურული განმანათლებელი წრე გენერალ იოს. გედევანიშვილის თავმჯდომარეობით. მის მიზანს შეადგენს ძველ რუსის ყაზარმებთა სკოლად გადაქცევა, სადაც ქართველთ ასწავლიდნენ იქნება წერა კითხვას; აგრეთვე ჩვენი სათაყვანო მხედართათვის თეატრის მოწყობა, სადაც ისინი განვითარდებიან ესტეთიურად და სხ.

სახელმწიფო უძლურია ყველა ამას გაუძლვეს, ამიტომ მოვმართავთ თქვენ, ქართველებო, გამოუწოდეთ ხელი ამ წრეს, დაეხმარეთ მას ნივთიერად. ბევრს პირადი ბარათი გავგზავნე, მაგრამ, ვისაც ჩვენ არ ვიცნობდით, მათ ვთხოვთ პატივებას და ქართველური ჯენტლმენლობით მოუწოდებთ გაიღონ უხვი შემოწირულობა ამ ფრიად სიმპატიურ საქმისათვის. შემდეგი მისამართით: ტფილისი, პორუჩიკი ჩიქვანიას და ესაკიას გრიბოედოვის ქუჩა ს. № 15 ბინა № 3.

P. S. ყველა ქართულ-რუსულ გაზეთებს ვსთხოვთ დაბეჭდონ ეს განცხადება.

პატივისცემით: პორუჩიკი ჩიქვანაია და პოდ. ესაკია.

მიიღება ხელის მოწერა 1919 წ.

ერთად-ერთ სახელოვნო-სალიტერატურო-სათეატრო სურათებიან ჟურნალ

## თეატრი და ცხოვრება-ზე

წელიწადი მეშვიდე გამოცემისა

წლიურად—25 მან., ნახევარ წლით—15 მ. ხელის მოწერა მიიღება რედაქციაში: ტფილისი, ბაზრის ქ. № 20, მეწიგნეების რიგზე, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ დილის 9 ს.—საღამოს 7 ს. ფოსტით: ტფილისი, რედ. „თეატრი და ცხოვრება“ იოსებ იმედაშვილს. იქვე მიიღება შემოწირულება ჟურნალის ფონდის სასარგებლოდ.

რედაქტორ-გამომცემელი იოსებ იმედაშვილი.

## ტფილისის ქალაქის გამგეობის სასურსათო განყოფილება

ამით აცხადებს მცხოვრებთა საყურადღებოთ, რომ ამა წლის 21 იანვრიდან საუბნო სასურსათო კომიტეტში დაიწყება იანვრის, თებერვლის და მარტის სასურსათო ბარათების დარიგება. ბარათები დაურიგდებათ მხოლოდ სარაიონო და ბინის კომიტეტებს, რისთვისაც საჭიროა წარმოადგინონ: 1) ახალი ბინის წიგნები, 2) ახალი ბინის სარეგისტრაციო უწყებანი ორ ფურცელზე გადაწერილი, რომლებიც უნდა შეამოწმონ საუბნო სასურსათო კომიტეტებმა, 3) ძველი სასურსათო ბარათები, 4) პიროვნების ვინაობის მოწმობები. მოწმობად ცნობილია: ა) პასპორტი, ბ) მეტრიკული ამოწერილობა, გ) მოწმობა მილიციის უფროსისაგან მოცემული, დ) მოწაფეთა ბილეთი, ე) მოწმობები სხვადასხვა ეროვნულ საბჭოებისაგან მოცემული, თუ უკანასკნელით აქვთ საკონსულო დაწესებულებათა ხასიათი. სამკურნალოები, თავ-შესაფარი ბინები, პანსიონები და სხვა მაგვარი დაწესებულებანი მიიღებენ ბარათებს საბარათო განყოფილებაში.

(2—2) სასურსათო განყოფილება ტფილისის ქალაქის გამგეობისა.

„კლდის“ ბიბლიოთეკა
დაიბეჭდა
გრიგოლ ვეშაპელის
„ნაც.-დემოკრატიული პარტია.“
დავით ვაჩნაძის
„მუდმივი ჯარი თუ სახალხო მილიცია“
მიხეილ მაჩაბელის
„მიწის საკითხი“
შალვა ქარუმიძის
სამღვთო სჯულის სწავლების მაუქმებ.
თითო წიგნის ფასი 15 შაური.

## საქართველოს მეურნეთა და მიწის მესაკუთრეთა კავშირის საბჭო.

ამით აცხადებს, რომ ყოველნაირი ცნობების მიღება და კავშირში წევრათ ჩაწერა შეიძლება შემდეგის მისამართით: ბარიატინსკის დაღმართი № 6, სამეურნეო საზოგადოების შენობაში.

## ბათუმის ქართველთა

ეროვნული საბჭო ხსნის სრულ უფლებიან ქართულ გიმნაზიებს ორივე სქესისთვის საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ გამომუშავებული პროგრამით. საბჭო სთხოვს მშობლებს, რომელთაც სურთ მიაბარონ ხსენებულ გიმნაზიაში თავიანთი შვილები მიაწოდონ ეროვნულ საბჭოს ქ. ბათუმში შემდეგი ცნობები:

1. სქესი მოსწავლისა,
2. რაოდენობა და
3. რომელ კლასში სურს შესვლა.

სწავლის უფლება იქნება არა უმეტეს იმისა, რაიც საქართველოს რესპუბლიკის სხვა გიმნაზიებშია. სწავლა დაიწყება ახლო მომავალში. მათ, ვინც საქართველოს რესპუბლიკის გიმნაზიებში უკვე შეიტანეს მეორე ნახევარი სწავლის ფულისა, ეს ფული დაუბრუნდებათ.

ბათუმის ქართველთა ეროვნული საბჭო.

მიიღება ხელის მოწერა 1919 წლისათვის.
ყოველ დღიურ გაზეთ „ახალი კლდე“-ზე.
გაზეთის ფასი:
ერთი თვით 10 მან. | სამი თვით 25 მან. | ექვსი თვით 50 მან. | ერთი წლით 100 მან.
ხელის მოწერა და განცხადებანი მიიღება დილის 10 საათიდან 3 საათამდე.
ტელეფონი № 18—81. კონტორა ქართულ ქარვასლაშია, სასახლის ქ. № 5.

მეხილეთა ამხანაგობა „ქართლი“
ამით აცხადებს, რომ მის საწყობებიდან იყიდება დიდძალი ხილი ვაგონობით და ფუთობით.
როგორც კერძო პირთა, ისე დაწესებულებათათვის ფრიად ხელმისაწვდომ ფასებში.
იერუსალიმში, მუხრანიანთ სახლი, ამხ. „ქართლი“.

ქართველთა ამხანაგობის სტამბა, გოლოვინის პრ. № 26. ტელეფონი 4—73.